



## მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

თარიღი: 23 მარტი, 2015 წელი

დრო: 16:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

### შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. მანანა წულაია - ბიოლოგიურ მეცნიერებათა ასოციაცია „ელკანა“, მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი
2. კახა გოგოლაშვილი - საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი
3. ოლეგ შატერაშვილი - ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის
4. გივი ქოჩორაძე - კვლევების ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ხელშემწყობი საერთაშორისო ცენტრი
5. ნინო ევგენიძე - ეკონომიკური პოლიტიკის და კვლევის ცენტრი
6. ლაშა ბლიაძე - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
7. ლელა ბერძული - ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი
8. ლია თოდუა - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
9. ვახტანგ ზარქუა - ენერგოეფექტურობის ფონდი
10. ლია თოდუა - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
11. თენგიზ სვანიძე - ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია „საქართველოს ჩაი“
12. თამაზ ვაშაკიძე - საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრი
13. ეკა გეგეშიძე - ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო
14. ნათელა გიუნაშვილი - ასოციაცია - საზოგადოება განვითარებისთვის

15. ნინო ედილაშვილი - OXFAM - ის საქართველოს წარმომადგენლობა
16. მაია ქობალია - საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის
17. ეკა ლალიაშვილი - საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის
18. დანი თაბუკაშვილი - ბიოლოგიურ მეცნიერებათა ასოციაცია „ელკანა“
19. გიორგი ონიანი - საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო

### განსახილველი საკითხები:

- ❖ ჯგუფის სამუშაო პრიორიტეტების შემუშავება, დისკუსიის ფასილიტატორი - მანანა წულაია, საქართველოს ეროვნული პლატფორმის მეორე თემატური ჯგუფის კოორდინატორი, ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“
- ❖ „რიგის სამიტისათვის მზადება“, მომხსენებელი - კახა გოგოლაშვილი, საქართველოს ეროვნული პლატფორმის მეორე თემატური ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი (GFSIS)
- ❖ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - „ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების სრულყოფა და მცირე ფერმერების მხარდაჭერა“ მიმოხილვა. მომხსენებელი - ნინო ედილაშვილი, ოქსფამის სასურსათო უსაფრთხოების პროგრამის ოფიცერი
- ❖ მიმდინარე და სხვა საკითხები

შეხვედრა გახსნა ჯგუფის კოორდინატორმა და დამსწრეებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი. მან ჯგუფის წევრებს წარუდგინა პრეზენტაცია, რომელიც ეხებოდა მეორე სამუშაო ჯგუფის პრიორიტეტების შემუშავების საკითხს, ასევე ისაუბრა აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის, საქართველოს ეროვნული პლატფორმის, მე-2 სამუშაო ჯგუფის საქმიანობასთან დაკავშირებულ კონცეპტუალურ საკითხებზე.

კოორდინატორმა დამსწრეებს ასევე გააცნო რეკომენდაცია, რომელიც გულისხმობს მე-2 სამუშაო ჯგუფის ფარგლებში ჩამოყალიბდეს შემდეგი თემატური ქვეჯგუფები: მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა, სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება (ჩამოყალიბებულია), ტრანსპორტი, DCFTA, გარემოს დაცვა და კლიმატის ცვლილება. მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ მნიშვნელოვანია თანამშრომლობის გაძლიერება ეროვნული პლატფორმის მეორე სამუშაო ჯგუფსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორუმს (EaP CSF) შორის (ახლად ჩამოყალიბებული ფორუმის „მე-2 სამუშაო ჯგუფის საბჭოს“ (WG 2 Council) მეშვეობით).

კოორდინატორმა ჯგუფის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ Public Administration International (PAI) და “SKL International”, Sida -ს მხარდაჭერით ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანია

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმისა და 6 ეროვნული პლატფორმის სამომავლო მხარდაჭერის სტრატეგიის შემუშავება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკოორდინაციო საბჭოს წევრებთან შეხვედრას გამართავს Public Administration International -ის წარმომადგენელი.

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო - ს წარმომადგენელმა წამოაყენა ინიციატივა, სამუშაო ჯგუფის შემდეგ შეხვედრაზე მოიწვიონ ლუდის მწარმოებელ კომპანიათა წარმომადგენელი, ასევე ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი. აღნიშნულ შეხვედრაზე განიხილება ლუდის მწარმოებელთათვის მთავრობის მიერ აქციზის გაზრდის საკითხი, რომლის მიღება მოხდა ბიზნესის ამ სექტორთან წინასწარი კონსულტაციის გარეშე და ახსნილ იქნა, როგორც ევროკავშირის წინაშე აღებული ვალდებულებების ნაწილი. სამუშაო ჯგუფის წევრებმა გაიზიარეს შემოთავაზებული წინადადება და მხარი დაუჭირეს შეხვედრის ორგანიზებას.

შეხვედრის მიმდინარეობისას კოორდინატორმა ისაუბრა პრიორიტეტული საკითხების ადვოკატირების, ქსელური მუშაობის და პოლიტიკის დოკუმენტების მომზადების აუცილებლობაზე, მან დამსწრეებს წარუდგინა სამუშაო წლისათვის ჯგუფის პრიორიტეტული საკითხები: რიგის სამიტისათვის მზადება, DCFTA, მცირე ბიზნესისა და ქალთა სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობა, პროგრესი საინოვაციო პოლიტიკის განხორციელებაში, სასურსათო უსაფრთხოება, სურსათის უვნებლობა, სახელმწიფო ბიუჯეტი და მაკროეკონომიკური გარემო და სტრატეგიულ დოკუმენტებზე რეკომენდაციების მომზადება.

ოქსფამის სასურსათო უსაფრთხოების პროგრამის ოფიცერმა სამუშაო ჯგუფის წევრებს გააცნო ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი - „ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების სრულყოფა და მცირე ფერმერების მხარდაჭერა“. 2013 წლიდან აღნიშნული პროექტი ხორციელდება აზერბაიჯანში, სომხეთსა და საქართველოში. პროექტის მთავარი მიზანია გენდერულად სენსიტიური სასურსათო უსაფრთხოებისა და სრულფასოვან საკვებზე ხელმისაწვდომობის სტრატეგიის შემუშავება, შეთანხმება და დამტკიცება, ეროვნული ალიანსების მეშვეობით მცირე ფერმერების ინტერესების გათვალისწინება, სიღრმისეული კვლევების წარმოებით მონაცემების შეგროვება და მტკიცებულებებზე დაფუძნებული სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკის ადვოკატირება. პროგრამის ოფიცერმა ასევე ისაუბრა ამ სფეროში არსებულ პრობლემებზე და გამოწვევებზე. მან აღნიშნა, რომ საქართველოში არ არსებობს სასურსათო უსაფრთხოების, როგორც პოლიტიკის ჩარჩოს განსაზღვრება, საგანგაშო მდგომარეობა სასურსათო უსაფრთხოების ცალკეული ელემენტების მიმართულებით (როგორცია, სრულფასოვანი კვება); არასრულფასოვანი კვების გამო 5 წლამდე ასაკის ბავშვებში შეინიშნება შეფერხებული განვითარება, არ არსებობს ასევე სასურსათო უსაფრთხოების აღრიცხვისა და მონიტორინგის სისტემა. პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საქართველო არ მონაწილეობს გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ქვე-კომიტეტებში, როგორცია: კომიტეტი სასურსათო უსაფრთხოებაზე, სოფლის მეურნეობის კომიტეტი, ნედლეულის, ტყის და თევზის კომიტეტები.

დამსწრეებმა ერთმანეთს გაუზიარეს მიმდინარე გამოწვევების შესაძლო გადაჭრის გზები.

ორსაათიანი განხილვის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი:

ნატალია აბრამია